საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/116

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2019 წ

ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის სამუშაო

გეგმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–24-ე მუხლების, ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №13 გადაწყვეტილების მე3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების,'' ,,ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019-2022 წლის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 20 სექტემბრის N01-10/114 ბრძანებისა და ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ზურაბ დარჩიძის 2019 წლის 24 სექტემბრის MES 0 19 01262000 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის სამუშაო გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ გ. გვარიშვილი

„ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის

27 სექტემბრის N01-10/116 ბრძანების დანართი 1

№	შესასრულებელი საქმიანობის (დავალების) დასახელება	შესრულების თარიღი (პერიოდი)	შენიშვნა
1	აუდიტორული შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება განხორციელებული ფინანსური ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობას, მარეგულირებელ წესებს და ბსუ-ს სამართლებრივ აქტებს.	2019 წლის IV-კვარტალი	
2	განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე შიდა აუდიტორული შემოწმება-შეფასება.	2019 წელი	
3	შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენის წესისა და კლასიფიკატორის ჯგუფების გამჭვირვალობის შესწავლა და ანალიზი.	2019 წელი	
4	2019 წლის 9-თვის საბიუჯეტო ასიგნებების საკასო და ფაქტიური ხარჯების შესრულების შიდა აუდიტორული ანალიზი.	2019 წლის ოქტომბერი	
5	ფინანსური და არაფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრულ აღრიცხვისა და ანგარიშგებაში ასახვის ოპერაციებზე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.	2019 წლის ნოემბერი	
6	მატერიალური ფასეულობების და ქონებრივი ღირებულებების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კაანონიერების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის ანალიზი.	2019 წელის ოქტომბერი	
7	ბიუჯეტის არაკლასიფიცირებულ შემოსავლებიდან (დროებით სარგებლობაში ქონების იჯარის წესით გადაცემა, სტომოტოლოგიური კლინიკიდან და სტამბიდან მიღებული შემოსავალი და სხვა) მიღებული სახსრების მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი.	2019 წლის სექტემბერ ოქტომბერი	
8	სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის კანონთან შესაბამისობის მდგომარეობა	2019 წლის ოქტომბერი	

9	ავტოპარკის შესწავლა და საწვავის გამოყოფილ ლიმიტან შესაბამისობის მდგომარეობა	2019 წლის სექტემბერი	
10	აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული და სხვა) განსაზღვრული საათების, მათი განაწილებისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ბსუ-ს სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელება	2019 წლის ოქტომბერი	
11	უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი სამუშაო განრიგის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშო ადგილიდან გასვლის მონიტორინგის განხორციელება	2019 წლის სექტემბერი	
12	მიმდინარე სამუშაო პროცესში წამოჭრილ საკითხებზე სახელმწიფო შიდა აუდიტის ინსპექტირების შესახებ ზოგადი დებულების მოთხოვნილების დაცვითა და გათვალისწინებით რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცემა.	2019 წელი	
13	აუდიტორული ანგარიშების წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან	2019 წელი	